ქალაღლიის ფული საქართველოში

საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი

ქალალდის ფული საქართველოში

თბილისი
2007

თანამედროვე საქართველოში ფულის ერთეულია ლარი, რომელიც ასი თეთრისაგან შედგება. ლარი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთი საგადამხდელო საშუალებაა. ფულის ნიშნების — ლარის და თეთრის გამოშვების ექსკლუზიური უფლება აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს. ქაღალდის ფულის ნიშნების ბეჭდვა-მიმოქცევის პროცესი მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებას. ფულზე აღბეჭდილი ეროვნული ცვლილება ემიტენტი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური გარდაქმნების მაუწყებელია. ამდენად, ფულადი ნიშნების კვლევის სფერო აერთიანებს მრავალი სამეცნიერო დისციპლინის, დიზაინისა და ხელოვნების დარგს — ემბლემატიკას (ემბლემა, გერბი, სიმბოლიკა); პალეოგრაფიას (ტექსტები, წერილობითი ნიშნები, ორთოგრაფია); სფრაგისტიკას (ბეჭდები, შტამბები, ასევე ჰერფორაცია და კონგრევები); ქრონოლოგიას (თარიღები); მეტროლოგიას (შეფარდება მსხვილ კუპიურებსა და მის დანაყოფებს შორის); ორნამენტალისტიკას (გრაფიკული და ფერწერული გაფორმება); ჭვირნიშნებსა და მასალას; ფილატელისტიკას (მარკები ფულის ნიშნებზე); ეპიგრაფიკას (გვიანდელი წარმოშობის დანაბეჭდები).

1991 წელს დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ექსპოზიცია მოიცავს ქართულ ფულს უძველესი დროიდან დღემდე, თანამედროვე ფულად ბაზრებზე მიმოქცევად სხვადასხვა ვალუტებს.

200 ლარი. 2006 წ. 146x72 მმ.

საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, მიმოქცევაში დღეს არსებული ქართული ფულის ეველა ნიშანი მომავალში დაექვემდებარება ახალ, ერთიან კონცეფციას, რომელიც ფულის მიმოქცევის საერთაშორისო სტანდარტებს დაეფუძნება. ქართული ლარისა და თეთრის ეველა ნომინალი „ფულის ერთიანი ოჯახის კონცეფციის“ მიხედვით დამზადდება.

ფულის ნიშნების ევროსტანდარტზე გადასვლის პირველი თვალსაჩინო ნიმუშია 200 ლარის ნომინალის ბანკნოტი, რომელსაც ამ დატვირთვის გარდა პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნია — ბანკნოტის ერთ მხარეზე დატანილია ქალაქ სოხუმის ხედი, ხოლო მეორეზე — საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პორტრეტი. ეს თემატიკა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის იდეას გამოხატავს.

100 ლარი. 2004 წ.-ის მოდიფიკაცია. 140x67 მმ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1991 წლის 9 აპრილს მიიღო, ქართული ეროვნული ვალუტის სახელის შესარჩევად დებატები კი ჯერ კიდევ 1990 წელს დაიწყო და კულმინაციას 1993 წელს მიაღწია. თუმცა, ეს საკითხი სამეცნიერო ინტერესს დღესაც იწვევს. საქართველოს მინისტრთა კაბინეტში იმ პერიოდში ეროვნული ფულის შექმნის სამუშაოებს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე, ვიცე-პრემიერი ეკონომიკური რეფორმების დარგში რომან გოცირიძე კურირებდა. საერთო-სახალხო განწყობას, რომ ქართულ ფულს არ რქმეოდა „მანეთი“, ყველა აღიარებდა, თუმცა შეჩვეული ფულადი ერთეულის სახელის შეცვლის ფსიქოლოგიური ბარიერის არსებობასაც იზიარებდნენ.

50 ლარი. 2004 წ.-ის მოდიფიკაცია. 135x66 მმ.

20 ლარი. 2002 წ.-ის მოდიფიკაცია.
131x65 მმ.

იეო კამათი... თეთრა, კაბიკი, კერძა, მარჩილი... და მსუბუქად დაიწეო აზრძა შემობრუნება: ლარი, სალარო, მოლარე... სიტყვა ლარი კარგი ჟღერადობისაა, ეველა ენაზე კარგად გამოითქმის, იწვევს სისწორის ასოციაციას...

1992 წლის 7 აგვისტოს ქართული ფულის სახელწოდების შესარჩევი კომისიის სხდომაზე გადაწყდა, რომ ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდება იქნებოდა განძის, ქონების ძესატეისი ძველი ქართული სიტყვა „ლარი“. ხურდა ფულის სახელად კი შეირჩა ასევე ძველი, XI საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული საძონეტო ტერმინი „თეთრი“. 1995 წლის 25 სექტემბერს მიმოქცევაში გაძოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი სრულფასოვანი ეროვნული ვალუტა – 1, 2, 5, 10, 20, 50, 100 ლარის ნომინალური ღირებულების საბანკო ბილეთების სახით. ამავე პერიოდში დაბეჭდილი 500-ლარიანი ბანკნოტი მიმოქცევაში არ გასულა.

10 ლარი. 2002 წ.-ის მოდიფიკაცია.
125x63 მმ.

5 ლარი. 2002 წ.-ის
მოდიფიკაცია. 115x61 მმ.

2 ლარი. 2002 წ.-ის
მოდიფიკაცია. 115x61 მმ.

1 ლარი. 2002 წ.-ის
მოდიფიკაცია. 115x61 მმ.

საქართველოს ეროვნული ვალუტის — ლარის დიზაინის ავტორები არიან მხატვარ-დიზაინერები ნოდარ და ბაჩანა მალაზონიები.

500 მანეთი. 1912 წ. 270x125 მმ.

100 მანეთი. 1910 წ. 258x120 მმ.

1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ანექსია მოგვიანებით ქვეყნის ოკუპაციით დასრულდა. იმპერიული პოლიტიკის გატარებასთან ერთად საქართველოში დაიწყო რუსული ფულის შემოდინებაც. რუსეთის ხელისუფალთა შემწეობით 1804 წლის 15 სექტემბერს თბილისში, სამეფო აბანოს ეოფილ შენობაში, საზეიმოდ გაიხსნა ზარაფხანა, რომელსაც საქართველოში რუსეთიდან წამოსული ოქროსა და ვერცხლის ფულის ნაკადი უნდა შეემცირებინა. ამის მიუხედავად, თბილისის ზარაფხანა მოთხოვნილებას სრულად მაინც ვერ აკმაყოფილებდა, რადგან სამოქალაქო ადმინისტრაციისა და სასამართლო უწყებათა მოხელეები ხელფასს მთლიანად რუსული ასიგნაციებითა და „ჩერვონეცებით“ იღებდნენ.

თბილისი. მეფისნაცვლის სასახლე. 1900-იანი წლები

თბილისი. საქალაქო საკრედიტო საზოგადოება.
საოპერაციო დარბაზი და სალარო (1902-1903 წწ.)

50 მანეთი. 1899 წ. 198x117 მმ.

25 მანეთი. 1909 წ. 174x103 მმ.

მთავრობამ გადაწყვიტა, შემოეტანა რუსეთის იმპერიის ასიგნაციები, რომელიც 1769 წელს, ეკატერინე მეორის დროს შემოიღეს რუსეთში. პირველად ასე გაჩნდა ქართულ ბაზარზე ქაღალდის ფული.

რუსული სამხედრო უწყება მთელ იმპერიაში მხოლოდ ასიგნაციებს ხარჯავდა. ამ მხრივ, გამონაკლისი მხოლოდ საქართველო აღმოჩნდა, სადაც რუსული ასიგნაციები ვერ დამკვიდრდა. „ხალხმა არ იცის სხვა ფული, გარდა ოქროსა და ვერცხლისა“, — წერდა თავის მოხსენებაში საქართველო-ში მოვლენილი გენერალი რადიშჩევი. 1818 წელს რუსეთში შეწყდა ასიგნაციების გამოშვება და მისი თანდათანობით განადგურება დაიწყო.

10 მანეთი. 1909 წ. 105x174 მმ.

5 მანეთი. 1909 წ. 100x158 მმ.

აკადემიკოსი ჰაატა გუგუშვილი განმარტავს, რომ საქართველოში ქაღალდის ფულისადმი უნდობლობის მიზეზი იყო „არარსებობა სათანადო საკრედიტო დაწესებულებისა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საჭიროებისამებრ ჩხრიალა ფულზე ასიგნაციების გადახურდავება. ეს აბრკოლებდა მეხუთე ათეული წლების დასაწყისშიც (XIX ს.) ჩვენში ქაღალდის ფულის სახალხო ტრიალს“.

თბილისის ბაზარი (XIX საუკუნის ბოლო).

თეატრალური აფიშების
საქალაქო ჯიხური (1914 წ.)

3 მანეთი. 1905 წ. 154x98 მმ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში კაპიტალიზმის აშკარა ნიშნები გამოიკვეთა, რამაც დღის წესრიგში დააყენა სათანადო ეკონომიკური ინსტიტუტების და, მათ შორის, საკრედიტო დაწესებულებების შექმნის აუცილებლობის საკითხი.

1866 წელს გაიხსნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა, 1871 წელს — თბილისის კომერციული ბანკი, ფილიალებით ბაქოში, ბათუმსა და ერევანში, რომლებიც მეტროპოლიაში არსებული ბანკების ფილიალებს წარმოადგენდნენ და, ბუნებრივია, მათი ფუნქციონირება საქართველოს კოლონიზაციის პროგრამის ჩარჩოებში მიმდინარეობდა.

1 მანეთი. 1898 წ. 150x90 მმ.

ილია ჭავჭავაძე (1837-1907 წწ.)

დიმიტრი ყიფიანი (1814-1887 წწ.)

ამ შენობას „საბანკო თეატრს“ უწოდებდნენ. აქ იმართებოდა წარმოდგენები. ილია ჭავჭავაძის ინიციატივით საადგილმამულო ბანკში გამოუსყიდველი გირაოს სახით დარჩენილი შენობა გადააკეთეს და თეატრს გადასცეს. თეატრის შემოსავლის ნახევარი ქირაში მიდიოდა.

საქართველოს საბანკო ისტორიაში ფასდაუდებელია საადგილმამულო ბანკის მნიშვნელობა, რომელსაც საზოგადოება დღემდე „ილიას ბანკს“ უწოდებს. ბანკის მეშვეობით ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი უამრავი სოციალური და კულტურული პროექტი განხორციელდა. სწორედ ილიას ბანკმა დაუდო საფუძველი საქართველოში ეროვნული საბანკო სისტემის განვითარებას.

საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა ეკუთვნოდათ დიმიტრი ყიფიანსა და ქართველ თერგდალეულებს ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. მათ ბანკი ქვეყნის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების, ეროვნული კულტურის გადარჩენის, მთლიანად ერის გაძლიერებისა და განვითარების იარაღად მიაჩნდათ. 1867 წლის 6 მაისს დიმიტრი ყიფიანმა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას ბანკის წესდების მის მიერ შემუშავებული პროექტის საფუძვლები წარუდგინა. კრებამ დაამტკიცა საადგილმამულო ბანკის დაფუძნების საერთო პრინციპები და აირჩია ბანკის წესდების შემმუშავებელი სარედაქციო კომიტეტი.

საადგილმამულო ბანკის წესდების შემუშავებასა და მთავრობის ორგანოებში მის დამტკიცებას 7 წელი დასჭირდა. ბანკის წესდების ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული საბოლოო პროექტის მიხედვით, მისი ფუნქციონირების არეალი თბილისის გუბერნია იყო და სასესხო ოპერაციებს აწარმოებდა როგორც ნაღდი ფულით, ისე საკრედიტო ნიშნებით.

ბანკის ძირითადი კაპიტალი 500 ათასი მანეთით განისაზღვრა, სესხის ხანგრძლივობა — ერთიდან 43 წლამდე.

1874 წლის 28 მაისს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ თბილისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკის წესდება დაამტკიცა.

1875 წლის 26 იანვარს შედგა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა კრება, რომელმაც აირჩია ბანკის პირველი ხელმძღვანელობა — ილია ჭავჭავაძე თბილისის საადგილმამულო ბანკს 30 წლის მანძილზე ედგა სათავეში.

1876 წლის დასაწყისში მთავრობამ ქუთაისის ბანკის წესდების პროექტიც დაამტკიცა. 20 აპრილს კი თავადაზნაურობამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ბესარიონ ღოდობერიძე აირჩია. იმ დროის რუსეთის იმპერიისა და ევროპის ანალოგიური ტიპის ბანკებთან შედარებით ორივე ბანკი სრულიად განსხვავებული საკრედიტო დაწესებულება იყო — საფინანსო საქმიანობასთან ერთად უდიდეს ქველმოქმედებასაც ეწეოდა.

ბანკის კრებებზე ქართული საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი იმ პერიოდისათვის სახელმწიფო დაწესებულებებიდან განდევნილ ქართულ ენაზე მსჯელობდა და საქვეყნო საქმეებს წყვეტდა.

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თანამშრომლები (XIX საუკუნის ბოლო)

თბილისი. საარტისტო საზოგადოების თეატრი (1901 წ.)

250 მანეთი. 1918 წ. 166x103 მმ.

თბილისი. დამფუძნებელი კრების სხდომა (1918 წ.)

1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში პოლიტიკურ ცვლილებებს დაუდო სათავე. 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში შედგა თათბირი, სადაც ამიერკავკასიის ადგილობრივი მთავრობის შექმნის საკითხი გადაწყდა. იმდროინდელ საქართველოში არსებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებას კარგად ახასიათებს ერთი ისტორიული ცნობა: „მთავრობას კიდევ არ გამოურკვევია თავისი პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთის ფარგლებში. მან თვითონ არ იცის, რა ეკუთვნის საერთო სახელმწიფო ქონებისა და ვალისაგან. ოქროს რეზერვზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთ პირობებში რამდენიმე მილიონი მანეთის გამოშვება კურსის კატასტროფას გამოიწვევს, ისე რომ, კავკასიელი მომხმარებელი ალბათ ადრე მოესწრება იმ ბედნიერ დღეს, როცა წვეილი ფეხსაცმელი რამდენიმე ათასი მანეთი ედირება, როგორც ეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს იყო“.

1918 წლის 10 თებერვალს თბილისის სეიმმა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორების გადაწყვეტილება მიიღო, რაც 9 აპრილს იურიდიულად გაფორმდა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებითა და ამიერკავკასიის დემოკრატიული, ფედერაციული რესპუბლიკის გამოცხადებით.

„ამიერკავკასიის მთავრობის წინაშე დაისვა ფულის გამოშვების საკითხი, მაგრამ ბონის — მოკლევადიანი საგალო ვალდებულების სახით, მაგრამ ვის მიერ იქნებოდა შემდგომ ეს ბონი გამოსყიდული, ეს ღიად დატოვეს. მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ბოლშევიკების დამარცხების ილუზია, ამიერკავკასია რუსეთს შეუერთდებოდა და კომისარიატის სახელით გამოშვებულ ბონებსაც ხელისუფლება გამოისყიდიდა“, — წერდა ცნობილი მეცნიერი პაატა გუგუშვილი.

თბილისი.
ქალაქის სათათბირო
(1885-1886 წწ.)

100 მანეთი. 1918 წ.
156x101 მმ.

50 მანეთი. 1918 წ.
141x89 მმ.

10 მანეთი. 1918 წ.
120x78 მმ.

5 მანეთი. 1918 წ.
113x74 მმ.

ძველი თბილისის ხედი

1918 წლის 29 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა დებულება დროებითი ფულის ნიშნების — ბონების გამოშვების შესახებ. გამოვიდა ბონის 1, 5, 10, 50 და 100-მანეთიანი კუპიურები, რომელსაც მალე დაემატა 250-მანეთიანი. ეს ბონები უცვლელი სახით იბეჭდებოდა ამიერკავკასიის კომისარიატის სეიმის მმართველობის ჰერიოდში თბილისში, სამხედრო შტაბის შენობაში მოთავსებულ ფულის საბეჭდ ექსპედიციაში, მხოლოდ მათი მცირე ნაწილია მოსკოვში დაბეჭდილი. შემდგომი ემისიები, ამიერკავკასიის რესპუბლიკათშორის შეთანხმების საფუძველზე, გარეგნული სახის შეუცვლელად გრძელდებოდა. 1918 წლის იანვრიდან 1919 წლის ივლისამდე ბონების სულ ხუთი ემისია განხორციელდა.

1919 წლის დასაწყისში გამოვიდა სახელმწიფო ხაზინის 25, 100, 500, 1000 და 5000 მანეთის ღირებულების ბონები. საინტერესოა ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების გაცვლის კურსი ინგლისური გირვანქა სტერლინგის მიმართ:

1918 წ.	1 ინგ. სტ./40 მანეთი
1919 წ., იანვარი	1 ინგ. სტ./55 მანეთი
თებერვალი	1 ინგ. სტ./100 მანეთი
მარტი	1 ინგ. სტ./150 მანეთი
აპრილი	1 ინგ. სტ./190 მანეთი
მაისი	1 ინგ. სტ./250 მანეთი
ივნისი	1 ინგ. სტ./300 მანეთი
ივლისი	1 ინგ. სტ./350 მანეთი

3 მანეთი. 1918 წ. 65x88 მმ.

თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების შენობა (1902-1903 წწ.)

1 მანეთი. 1918 წ. 54x78 მმ.

5000 მანეთი. 1919 წ. 175x105 მმ.



ნოე ჟორდანია,
საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე

დეკრეტი

საქართველოს რესპუბლიკის პროვინციის გაუქმებისა

„საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის საძართლებრივი აქტების
კრებული“. 1918-1921 წწ.

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. ამიერკავკასიის ფედერაციამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობამ ამიერკავკასიის ბონი მიმოქცევაში დატოვა, როგორც გარდამავალი ფულადი ერთეული, რომელიც წელიწად-ნახევრის მანძილზე მიმოიქცეოდა.

1918-24 წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბონების პარალელურად ეპიზოდურად მიმოქცეოდა ზოგიერთი საზღვარგარეთული ვალუტა — ოსმალური ლირა და ინგლისური გირვანქა სტერლინგი. მიმოქცევაში აგრეთვე იყო რუსეთის იმპერიის დროინდელი სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები და რუსეთის დროებითი მთავრობის ფულის ნიშნები.

1000 მანეთი. 1918-1920 წწ. 163x102 მმ.



თბილისის ხედი
(XIX საუკუნის ბოლო)

500 მანეთი. 1919 წ. 163x102 მმ.

სახელმწიფო ბანკის კანტორა (1910 წ.). 1920 წელს ამ შენობაში „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ განთავსდა.

1920 წლისათვის ეროვნული საბანკო დაწესებულების ფუნქციას ასრულებდა რუსეთის ეროვნული საიმჭერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კავშირი აღარ ჰქონდა საიმჭერიო ბანკთან და ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატს, შემდეგ კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაექვემდებარა. ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა — 1919 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“.

1920 წლის ივლისში გაიხსნა „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“. ძირითადი კაპიტალი — 50 მლნ მანეთი სახელმწიფო ხაზინამ გაიღო და მთელი მოგებაც მას ეკუთვნოდა. საქართველოს სახელმწიფო ბანკი უშუალოდ ექვემდებარებოდა საკანონმდებლო ორგანოს. დებულების თანახმად, ბანკის გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები უნდა ყოფილიყო.

ქართულმა ბანკმა მხოლოდ 100 დღე იარსება და ამის მიუხედავად ქართული საფინანსო სისტემის ისტორიაში თვალსაჩინო კვალი დატოვა:

- საქართველოს სახელმწიფო ბანკმა მიმოქცევიდან ამოიღო რუსეთის „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები“, ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები;
- გამოუშვა საკუთარი დროებითი ფულის ნიშნები — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები;
- შექმნა სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი მარაგი;
- რესპუბლიკის ფულის ნიშნები სამხრეთ კავკასიასა და რუსეთის ჰოსტიმჰერიულ ქვეყნებში ერთ-ერთ მტკიცე ვალუტად იქცა;
- დარეგულირდა ფასები ჰირველადი მოხმარების საქონელზე, შემუშავდა ქართული ბონის კურსის განმტკიცების ღონისძიებები, ფულის რეფორმის ჰროექტები და სხვ.

თბილისის ურთიერთკრედიტის საზოგადოების შენობა (1913-1914 წწ.), სადაც დღეს საქართველოს ეროვნული ბანკია განთავსებული.

100 მანეთი. 1919 წ.
156x101 მმ.

50 მანეთი. 1919 წ.
134x88 მმ.

იასონ ლორთქიფანიძე (1866-1949 წწ.), საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი თავმჯდომარე



სახელმწიფო ბანკის კანტორის საოპერაციო დარბაზი (1910 წ.). დღეს აქ განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ ქართველი ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე აირჩიეს.

1889 წელს, ჰეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებული იასონ ლორთქიფანიძე საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება. რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მისი მოღვაწეობა არაკეთილსაიმედოდ მიიჩნია და ახალგაზრდა იურისტს მუშაობა აუკრძალა. ამ მიზეზით იასონ ლორთქიფანიძემ სამშობლოს ფარგლებს გარეთ — ჯერ განჯაში, შემდგომ ვლადიკავკაზში გააგრძელა საქმიანობა. განჯაში მისი თაოსნობით დადგინდა ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავის ადგილსამყოფელი და სწორედ მისი უდიდესი წვლილის შედეგიცაა, რომ 1893 წელს ბარათაშვილის ნეშტი სამშობლოს დაუბრუნდა.

იასონ ლორთქიფანიძე ასევე იყო ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი კომისიის წევრი და ამ კომისიის საფინანსო ნაწილის ხელმძღვანელი.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება ელიზავეტპოლიდან (განჯიდან) თბილისში (1893 წ.)

1918 წლიდან იასონ ლორთქიფანიძე ეროვნული საბჭოს წევრი იყო, 1920 წელს კი, თბილისში დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახელმწიფო ბანკის დაფუძნების შემდეგ – მისი პირველი მმართველი.

ამ პოსტზე სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების მიერ ეროვნულ-დემოკრატისათვის ხმის მიცემა იასონ ლორთქიფანიძის მაღალი პროფესიონალიზმით და ქვეყნის წინაშე დამსახურებით უნდა აიხსნას.

1921 წლის თებერვალში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ბანკი საქართველოს სსრ სახალხო ბანკად გადაკეთდა და მმართველის თანამდებობაზე 1923 წლამდე იასონ ლორთქიფანიძე დატოვეს, თუმცა მალე მოადგილედ დააქვეითეს და 1924 წელს მისგანვე ორგანიზებული სამრეწველო ბანკის უფროსად გადაიყვანეს. სამ წელიწადში ამ თანამდებობიდანაც გაანთავისუფლეს და 1927 წლიდან 1934 წლამდე არა მარტო საფინანსო საქმიანობა, არამედ სამსახურიც აუკრძალეს.

ხელისუფლებამ სამოცდაათ წელს მიტანებულ იასონ ლორთქიფანიძეს, ბოლოს და ბოლოს, ნდობა გამოუცხადა – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერთანამშრომლად მიიღეს და ძველი არქივების მოწესრიგებააღწერის საქმე დაავალეს. მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა მისი ეპისტოლარული დანატოვარი საბანკო საკითხების შესახებ.

იასონ ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1949 წელს.



1918 წ. დაიბეჭდა პირველი ქართული ლატარიის ბილეთი, სულ 5 მლნ მანეთის ღირებულებით. შემოსავალი უნივერსიტეტსა და თეატრს უნდა მოხმარებოდა.

თბილისის კერძო ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია. 1918 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი განთავსდა (1906 წ.)

10 მანეთი. 1919 წ.
120x77 მმ.

5 მანეთი. 1919 წ.
115x74 მმ.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ეროვნული ვალუტის შესაქმნელად მზადება ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო — 1918 წლის ივნისში დაფუძნდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მიზნად ისახავდა მომავალი ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარის უზრუნველყოფას. ფონდის შევსების წყარო მოსახლეობის შეწირულობები იყო.

1918 წლის ივლისში ქართული ფულის ნიშნების პროექტების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად მხატვარ იოსებ შარლემანის ესკიზები გამოცხადდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ივლისის N101 დეკრეტით მიმოქცევაში გავიდა ი. შარლემანის ესკიზების მიხედვით დაბეჭდილი 1, 3, 5, 10, 50, 100 და 500 მანეთის ღირებულების ბონები. დეკრეტით გათვალისწინებული იყო აგრეთვე 25-მანეთიანი კუპიურის გამოშვებაც, რომელიც არ დაბეჭდილა. 1919 წლის მეორე ნახევარში ზემოთ აღნიშნულ კუპიურებს შეემატა 50-კაპიკიანი, 1920 და 1921 წლებში კი 1000 და 5 000-მანეთიანი ბონები. ამ უკანასკნელთა პროექტები მხატვრებს დიმიტრი შევარდნაძესა და ჰენრიკ ჰრინევსკის ეკუთვნით.

ქართული ბონებიდან მხოლოდ 500, 1 000 და 5 000-მანეთიანი კუპიურების ნაწილია ჭვირნიშნიან ქაღალდზე დაბეჭდილი. 1 000 და 5 000-მანეთიანი კუპიურების ჭვირნიშანს სამი ქართული ასონიშნის — „ს“, „დ“, „რ“-ს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) ლიგატურა წარმოადგენს. ქართულ ბონებზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასა და ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის ფაქსიმილეებია დატანილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბონების სულ ხუთი ემისია განახორციელა. ემისიათა საერთო მოცულობამ 18 მლრდ 400 მლნ მანეთი შეადგინა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ, შემდგომში კი ანექსიამ, დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების ფულადი რეფორმის პროექტი განუხორციელებელი დატოვა. საგულისხმოა, რომ ბოლშევიკური რუსეთის მიერ შემოღებულ ამიერკავკასიის ფედერალურ მანეთს საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო ბანკის მანეთის კურსი — იმდროინდელ წყაროებზე დაყრდნობით, 1 ქართული მანეთი 100 აზერბაიჯანული და 150 სომხური მანეთის ეკვივალენტური იყო.

3 მანეთი. 1919 წ. 89x60 მმ.

1 მანეთი. 1919 წ. 77x53 მმ.

50 კაპიკი. 1919 წ. 57x39 მმ.



ევგენი ლანსერეს მიერ შესრულებული 25 მარჩილის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი. 1920 წ.

სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღების მოსამზადებელი სამუშაოები 1918 წლიდან მიმდინარეობდა. ვალუტის ძირითად სახელად საქართველოში XVI საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“ შეირჩა — ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ მარჩილი, როგორც ფულის ერთეული, მიმოქცეულა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „სულთა მატიანეში“ მოხსენებულია ქართველი დიდგვაროვნების მიერ მონასტრისათვის შეწირული მარჩილის ნომინალები.

1920 წლის ივნისში მთავრობის დავალებით მხატვარმა ევგენი ლანსერემ 25 მარჩილის ღირებულების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი შეასრულა. საქართველოს ეროვნული ვალუტა — მარჩილი მიმოქცევაში გერმანული მარკის პარიტეტული კურსით უნდა გასულიყო. XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის ნიუთიერ წყაროდ შემორჩენილია 25 მარჩილის ღირსების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდების პროექტი (1919 წ.)

ძველი თბილისის ხედი (1896 წ.)

10000 მანეთი. 1922 წ. 175x105 მმ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ მთელი დატვირთვით აამუშავა ფულის საბეჭდი ექსპედიცია — 1921 წლის მანძილზე იბეჭდებოდა და ბრუნვაში გამოდიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონების ყველაზე მსხვილი ნომინალი — 5000-მანეთიანი კუპიურა, იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი უჭვირნიშნო ქაღალდზე მზადდებოდა.

1922 წელს საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ბონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანალოგიური ღირებულების კუპიურისაგან გარეგნულად მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ მის ავერსზე გამოსახული მთავრობის სასახლის ფლავშტოკზე ნაცვლად ქართული დროშისა დატანილია წითელი დროშა, ხოლო რევერსზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბს ორნამენტულ ხუთქიმიან ვარსკვლავში ჩასმული საბჭოთა საქართველოს გერბი ცვლის. 1923 წლის 10 იანვარს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საკავშირო საბჭომ მიიღო დეკრეტი ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოშვების შესახებ. 1923-1924 წლებში მიმოქცევაში გავიდა ამიერკავკასიის ფედერალური ბონების 18 ნომინალი. მათ შორის ყველაზე დაბალი ნომინალის ღირებულება 1 000 მანეთს, ხოლო ყველაზე მაღალის — 10 მლრდ მანეთს შეადგენდა. ეს უკანასკნელი კუპიურა დაიბეჭდა, მაგრამ მიმოქცევაში არ გასულა. ფედერალური ბონების კურსმა გამოშვებისთანავე დაიწყო დაცემა და მალე ამ პროცესმა კატასტროფული ხასიათი მიიღო.

250000 ათასი მანეთი. 1923 წ. 168x100 მმ.

50000 მანეთი. 1923 წ. 168x105 მმ.

75000000 მანეთი. 1924 წ.
194x95 მმ.

250000000 მანეთი. 1924 წ.
196x95 მმ.

1924 წლის ბირველი ივლისიდან შეწუდა ამიერკავკასიის ფედერალური ბონების მიმოქცევა და მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთიანი ფული დამკვიდრდა. გადახდის ძირითადი საშუალების დატვირთვა ქაღალდის ფულს ხვდა წილად — 1947 წლამდე გამოდიოდა 1, 3 და 5 მანეთის ღირებულების სახაზინო ბილეთები და ოთხი ნომინალის — 1, 3, 5 და 10 ჩერვონეცის (შესაბამისად, 10, 30, 50 და 100 მანეთი) ღირებულების სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ბილეთები.

1947 წლის ფულის რეფორმას ადრე არსებული ფულადი სისტემა დაედო საფუძვლად. ამ ბერიოდიდან კუპიურების ნომინალი ჩერვონეცების ნაცვლად მანეთებით აღინიშნებოდა.

5 მანეთი. 1947 წ. 87x145 მმ.

1961 წელს ჩატარდა ფულის მეორე რეფორმა, რომლის თანახმად, მანეთის ოქროს შემცველობა 1950 წელს დადგენილი 0.222168 გრამიდან 0.987412 გრამამდე გაიზარდა.

XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაწყებული ინფლაციური პროცესების აშკარა შედეგები ოთხმოციანი წლების დასასრულს გამოიკვეთა. 1991 წელს ხელისუფლება იძულებული გახდა, უფრო მსხვილი — 500 და 1 000 მანეთის ნომინალის კუპიურები გამოეშვა.

50 მანეთი. 1947 წ.
220x1102 მმ.

1 ჩერვონეცი. 1937 წ.
157x80 მმ.

100 მანეთი. 1961 წ.
140x70 მმ.

50 მანეთი. 1961 წ.
140x70 მმ.

25 მანეთი. 1961 წ.
122x61 მმ.

10 მანეთი. 1961 წ.
122x61 მმ.

100000 კუპონი.
1993 წ. 127x57 მმ.

5000 კუპონი.
1993 წ. 105x53 მმ.

50000 კუპონი.
1993 წ. 127x57 მმ.

3000 კუპონი.
1993 წ. 115x55 მმ.

25000 კუპონი.
1993 წ. 127x57 მმ.

2000 კუპონი.
1993 წ. 115x55 მმ.

10000 კუპონი.
1993 წ. 105x53 მმ.

1000 კუპონი.
1993 წ. 105x53 მმ.

1993 წლის ემისიის კუპონები.

500 კუპონი.
1993 წ. 105x53 მმ.

10 კუპონი.
1993 წ. 105x53 მმ.

250 კუპონი.
1993 წ. 115x55 მმ.

5 კუპონი.
1993 წ. 105x53 მმ.

100 კუპონი.
1993 წ. 105x53 მმ.

3 კუპონი. 1993 წ.
105x53 მმ.

50 კუპონი.
1993 წ. 105x53 მმ.

1 კუპონი. 1993 წ.
105x53 მმ.

1000000 კუპონი.
1994 წ. 115x55 მმ.

100000 კუპონი.
1994 წ. 115x55 მმ.

500000 კუპონი.
1994 წ. 115x55 მმ.

50000 კუპონი.
1994 წ. 115x55 მმ.

250000 კუპონი.
1994 წ. 115x55 მმ.

30000 კუპონი.
1994 წ. 115x55 მმ.

150000 კუპონი.
1994 წ. 115x55 მმ.

20000 კუპონი.
1994 წ. 115x55 მმ.

1994 წლის ემისიის კუპონები.

1991 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს 2 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკიც. სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის ბაზაზე დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ბანკი. 1993 წლის 3 აგვისტოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა ეროვნული ფულადი ერთეული — კუპონი, რუსულ მანეთს კი უცხოური ვალუტის სტატუსი მიენიჭა. საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონები დამზადდა და დაიბეჭდა საქართველოს სახალხო მხატვრის ელგუჯა ამაშუკელისა და მხატვარ ნოდარ მალაზონიას ესკიზებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი 1995 წლის 2 ოქტომბრამდე იყო მიმოქცევაში.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი — გლობალიზაციის პროცესი სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის თვისებრივად ახალი ეტაპია და, ზოგადად, გლობალური ეკონომიკის ფენომენს აყალიბებს.

ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი ელემენტია ფინანსური გლობალიზაცია, ანუ კაპიტალის მართვის გლობალურად ინტეგრირებული საფინანსო ბაზრების ჩამოყალიბება და ფუნქციონირებაა.

ამ პროცესებში საქართველო აქტიურადაა ჩართული — ფულის ნიშნების მიმოქცევის საერთაშორისო სტანდარტებს ქართული ფულადი ბაზარიც პასუხობს. საქართველოს საგალუტო ბაზრისათვის უცხო არ არის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ვალუტები — აშშ დოლარი, ევრო, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი, რუსული რუბლი, სამხრეთ კავკასიის, ასევე, დსთ-ის სახელმწიფოების ეროვნული ფულადი ნიშნები და ა. შ.

საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი მიმოქცევაშია 1995 წლის 2 ოქტომბრიდან.

ფულის ნიშნების მიმოქცევის საერთაშორისო სტანდარტებს ქართული ფულადი ბაზარიც პასუხობს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი ერთადერთია იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ სისტემურად არის გამოფენილი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ამიერკავკასიის კომისარიატისა და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-1921 წლებში ემიტირებული ბონები, აგრეთვე საქართველოს და ამიერკავკასიის ფედერაციის ბონები, გამოშვებული საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ, 1921-1924 წლებში.

მეორე დარბაზში ექსპონირებულია რუსეთის იმპერიის დროს მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები.

საქართველოში არაერთი მუზეუმის დასახელება შეიძლება, სადაც ჰროფილური ექსჰონატების გვერდით უძველესი და გვიანდელი ეპოქების ფულის ნიშნებიც არის დაცული, მაგრამ საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი ერთადერთია, რომლის ექსჰოზიციას მთლიანად ფული წარმოადგენს. მუზეუმის სამ დარბაზში ქრონოლოგიის დაცვით გამოფენილი ფულადი ნიშნების ნიმუშები — ბანკნოტები და უძველესი მონეტები საქართველოში ფულის მიმოქცევის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ასახავს ძვ. წ. VI საუკუნიდან დღემდე.

ფულის ექსპოზიცია იხსნება ე. წ. კოლხური თეთრის მსხვილი ნომინალით – ტეტრადრაქმით. კოლხეთში ვერცხლის ფული ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში იჭრებოდა.

პირველ ორ დარბაზში გამოფენილია საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში მოჭრილი ჰრაქტიკულად ყველა სამონეტო ტიპი და მათთან ერთად ფულად ბაზარზე მიმოქცევადი სხვა ქვეყნების ფულის ნიშნებიც.

საქართველოს ეროვნული ბანკის მუზეუმი უნიკალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ ექსპონირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ვალუტები (მუზეუმის მესამე დარბაზი).

მუზეუმი, გარკვეულწილად, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციასაც ატარებს. იგი ემსახურება არა მარტო ქართული ფულის ეროვნული მემკვიდრეობის ჰროპაგანდას, არამედ ნუმიზმატიკითა და ბონისტიკით დაინტერესებულ ჰირებს ამომწურავი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აძლევს, აცნობს რა მსოფლიოში ფულთან დაკავშირებულ მიღწევებს.

მუზეუმის დამთვალიერებლებს შეუძლიათ საქართველოს ფულად ბაზარზე სხვადასხვა ეპოქაში მოხვედრილი ძველი, ისტორიული მონეტების ასლების, ქართული თანამედროვე საიუბილეო და საკოლექციო დანიშნულების მონეტებისა და ბანკნოტების, საქართველოს ეროვნული ბანკის მუზეუმისა და საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემების, ასევე ფულის ნიშნების გამოფენის ვირტუალური ვერსიის შეძენა.

საქართველოს ეროვნული ბანკის სამუზეუმო ექსპონატებისა და დღეს გაყიდვაში არსებული ქართული საიუბილეო და სამახსოვრო მონეტების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება ასევე შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე — **www.nbg.gov.ge**.

ფულის მუზეუმში გამოფენილია საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონები და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულის მუზეუმის მესამე დარბაზი ეთმობა თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების ფულს, რომელთა ექსპოზიცია კონტინენტების მიხედვით არის წარმოდგენილი.

ლიტერატურა:

ივ. ჯავახიშვილი,
ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტ., IX, ნაკვეთი III.

ნაატა გუგუშვილი,
ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX საუკუნეში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ნაწილი VI. თბ., 1938 წ.

ნიკო ჯავახიშვილი,
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები. თბ., 1998 წ.

ნიკო ჯავახიშვილი,
ქართული ბონისტიკა (ქართული საფასთმცოდნეობა). თბ., 1996 წ.

მიხეილ ჯიბუტი,
ლარის ისტორიის ნაკლებად ცნობილი ფურცლები. ჟურნ. „ბანკი“, თბ., 2000 წ.

მერაბ ლორთქიფანიძე,
ახალი მასალები ილია ჭავჭავაძის შესახებ. გაზ. „კომუნისტი“, 1987 წ., 27 დეკემბერი.

გიორგი მაჭავარიანი,
იასონ ლორთქიფანიძე — საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, მეცნიერი. გაზ. „სახალხო განათლება“, N39. 1990 წ., სექტემბერი.

ფული საქართველოში — საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2003 წ.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისის უნივერსიტეტის გამომც. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. თბ., 2005 წ.

შენიშვნებისთვის

ქაღალდის ფული საქართველოში

პროექტის ავტორი რომან გოცირიძე

სარედაქციო ჯგუფი:

გიორგი კალანდაძე
ანა ერისთავი
მანანა დოლენჯაშვილი
ნანა წიკლაური
მაკრა ბანცური

საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველო, 0105, ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. N3/5
ტელეფონი: 996 505; ფაქსი: 999346; ტელექსი: 212 952 LEGAL
ელფოსტა: **prd@nbg.gov.ge**; ვებ-გვერდი: **www.nbg.gov.ge**